



## ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 13



2011 წლის 28 იანვარი  
ქალაქი ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2009 წლის 5 მარტის N27 განკარგულებაში – „ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელი ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის შეტყობინების ფორმების დამტკიცების შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელი ფიზიკური პირებისათვის განკარგულების პირველი მუხლით დამტკიცებული შეტყობინების ფორმა – დანართი N1 – დან ამოღებული იქნეს წინადადება – „შეტყობინების დარიგებაზე პასუხისმგებელია შპს “სან–დასუფთავება“;
2. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელი საზღვების ობიექტებისათვის განკარგულების მეორე მუხლით დამტკიცებული შეტყობინების ფორმა – დანართი N2 – დან ამოღებული იქნეს წინადადება – „შეტყობინების დარიგებაზე პასუხისმგებელია შპს “სან–დასუფთავება“;
3. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის გადამხდელი იურიდიული პირებისათვის განკარგულების მესამე მუხლით დამტკიცებული შეტყობინების ფორმა – დანართი N3 – დან ამოღებული იქნეს წინადადება – „შეტყობინების დარიგებაზე პასუხისმგებელია შპს “სან–დასუფთავება“;
4. განკარგულება გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
5. განკარგულება ძალაში შედის არსებული კანონმდებლობის შესაბამისად;
6. განკარგულება შეიძლება გასაჩვირდეს დაინტერესებული პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (ქ.ხაშური, ტაბიძის ქ.N2), ხოლო შემდგომ რაიონულ სასამართლოში (ქ.ხაშური, კოსტავას ქ.N15) ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე



დავით ლომიძე